პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 172 (7733)
8 სექტემბერი,
შაბათი,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორიენტირი— მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

მიზანი — ოქროს მედლები

ფეხბურთი რომ სპორტის მეფეა, ამაზე კარგა ხანია აღარავინ დავობს. შესაძლოა ზოგს კალათბურთი უფრო იტაცებდეს, ან მძლეოსნობა ხიბლავდეს ყველაზე მეტად, მაგრამ იმდენი ქომაგი, რამდენიც ფეხბურთს, სპორტის არც ერთ სახეობას არა ჰყავს. ეს განსაკუთრებით ითქმის საქართველოზე, სადაც სპორტის წინსვლაზე ხშირად ფეხბურთში მოპოვებული წარმატებით ან განცდილი მარცხით მსჯელობენ.

ჩვენში განსაკუთრებული ინტერესით მოელიან ყოველ მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან ასპარეზობას, მით უფრო, თუ ეს ასპარეზობა საბჭოთა ფეხბურთის რეზერვის დათვალიერებაა.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე საფეხბურთო ტურნირი უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი, ამაღელვებელი სანახაობა იქნება. გვესაუბრება საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მურთაზ ხურცილავა.

— **როცა** სპარტაკიადისთვის ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის მომზადება შემომთავაზეს, უყოყმანოდ დავთანხმდი. თუმცა ვიცოდი, რომ მეტად საპასუხისმგებლო და რთულ საქმეს ვკიდებდი ხელს. მით უმეტეს, რომ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება არ მქონდა. დახმარება ვთხოვე ჩემს მეგობარს რეზო ძოძუაშვილს. ერთად შევუდექით კანდიდატების შერჩევას. ზოგს ვიცნობდით, ზოგიც ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების მწვრთნელთა რეკომენდაციით მივიღეთ... დაახლოებით ორასამდე ქაბუკი გამოვცადეთ. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ მათგან ტაშკენტში საუკეთესონი მიემგზავრებიან.

გუნდის კანდიდატები პირველად წლეულს, იანვარში შევკრიბეთ და ბათუმში გავემგზავრეთ. ყოველდღიურმა ვარჯიშმა და ბიჭების უკეთ გაცნობამ კიდევ უფრო შეამცირა ტაშკენტში გამგზავრების პრეტენდენტთა რიცხვი. საბოლოოდ გადავწყვიტეთ უძლიერესთათვის თავი მოგვეყარა გლდანის რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში, რათა ნაკრების წევრებს ერთად ევარჯიშათ, ერთად გაეტარებინათ სპარტაკიადამდე დარჩენილი რამდენიმე თვე. აქვე უნდა გითხრათ, რომ ამ ღონისძიებამ ისეთი სარგებლობა მოგვიტანა, როგორსაც ვერც ერთი, თუნდაც გრძელვადიანი, შეკრება ვერ მოგვიტანდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დიდ წინააღმდეგობას კი წავაწყდით. მშობლების ერთ ნაწილს რატომღაც სკოლა-ინტერნატს ვერც უხსენებდით. ბევრს ვუმტკიცეთ, რომ გლდანის სკოლა-ინტერნატში სწავლა და ვარჯიში მათ შვილებს მხოლოდ სიკეთეს მოუტანდა. ბოლოს, როგორც იქნა, ყველაფერი მოგვარდა.

მზადება გეგმაზომიერად, განსაკუთრებული ინციდენტების გარეშე მიმდინარეობდა აგვისტოს თვემდე, როცა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები დაიწყო და ცოტა არ იყოს, კალაპოტიდან ამოგვაგდო. სიტყვამ მოიტანა და ბარემ იმასაც გეტყვით, რომ სპარტაკიადა, ჩემი აზრით, ყოვლმხრივ მოუხერხებელ დროს ტარდება. მოგეხსენებათ, ამ ასპარეზობის მონაწილეთა უმეტესობა აბიტურიენტია. მისაღები გამოცდებისთვის მზადება და თვით გამოცდების პერიოდი, ცხადია, ძალს ასვამს მოზარდთა სპორტულ მზადყოფნას. თავის მხრივ, ყოველდღიური წვრთნა-ვარჯიშიც უარყოფითად მოქმედებს აბიტურიენტთა სამზადისზეც. ერთი სიტყვით, კარგი იქნება, თუ მომავალში მოსწავლეთა სპარტაკიადები უფრო ადრე, მისაღები გამოცდების დაწყებამდე ჩატარდება. მით უმეტეს, რომ ასეთივე დღეში არიან სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებიც არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა რესპუბლიკებშიც.

ამჟამად გუნდში 17 მოთამაშეა, რომელთაგან უმეტესობა თბილისელია. ნაკრების ოთხი წევრი გაგრიდანაა, თითო — მცხეთიდან, გურჯაანიდან და საჩხერიდან. ყველაზე მეტი — ექვსი ფეხბურთელი მიავლინა თბილისის „ნორჩმა დინამოელმა" (სკოლის დირექტორი ომარ უშვერიძე). კოლექტივი საკმაოდ თანაბრადაა დაკომპლექტებული, მაგრამ ჩვენს „აქილევსის ქუსლს" რას მოვუხერხებთ, არ ვიცი. საქმე ის არის, რომ გუნდის ძირითადი მეკარე გია კოპალეიშვილი ახლახან დაშავდა, მისი სრულფასოვანი შემცვლელი სამწუხაროდ არა გვყავს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მაღალი ადგილებისთვის ბრძოლაზე უარს ვამბობთ.

ჩვენი პროგრამა-მინიმუმი საპრიზო ადგილია, მაგრამ ყველაფერს ვილონებთ იმისათვის, რომ შინ ოქროს მედლებით დავბრუნდეთ. მწამს, ჩვენს ბიჭებს შესწევთ ამის უნარი. თუმცა მეტოქეები საკმაოდ ძლიერი გვეყოლება. წინასწარ ჯგუფში ჩვენთან ერთად იასპარეზებენ მოსკოვის, ლენინგრადის, ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და ლატვიის ფეხბურთელები. თუ პირველი ზღუდე გადავლახეთ, მერე ალბათ უკრაინის, რუსეთის ფედერაციისა და სხვა რესპუბლიკების ძლიერ კოლექტივებთან მოგვიწევს თამაში. პირველ მატჩამდე კი სულ ცოტა დრო დარჩა — 11 სექტემბერს გამოჩნდება, როგორ მოვემზადეთ საპასუხისმგებლო სტარტისთვის.

საუბარი ჩაიწერა
დავით კაკაბაძე.

გუშინწინ, დიღომში, „დინამოს" ბაზაზე საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებმა საწვრთნელი მატჩი გამართა თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობასთან. საინტერესო შეხვედრა მოსწავლეთა (თეთრ მაისურებში) გამარჯვებით დამთავრდა — 3:2. სურათებზე სწორედ ამ მატჩის მომენტებია აღბეჭდილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

შენ, საქართველოს იმედო!

ღია წერილი

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილე რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის წევრებს

ჩვენო ნორჩო მეგობრებო!

სიტყვა „სპარტაკიადა" თითოეული ჩვენგანის წარმოდგენაში უკავშირდება სპორტს, მარადიულ სიჭაბუკეს, მხნეობას, თვალსაჩინო მიღწევებსა და რეკორდებს, ახალგაზრდულ შემართებასა და აღმაფრენას. რომელ სპორტსმენს არ უოცნებია თავის სპარტაკიადაზე ანუ იმ სარბიელზე, რომელსაც შეუძლია ყველაზე უკეთ წარმოაჩინოს მისი ჭეშმარიტი შესაძლებლობები, შეახვედროს იგი ღირსეულ მეტოქეებს და მათთან ბრძოლაში განაცდევინოს წარმატების სიხარული.

ასეთია საზოგადოდ ყველა სპარტაკიადა და მათ შორის ის სპარტაკიადაც, რომლის მონაწილეებიც ამჟამად თქვენ ხართ, ჩვენო ნორჩო მეგობრებო — ქართული სპორტის ხვალინდელო დღევ, ჩვენო ღირსეულო ცვლავ, ერისა და სამშობლოს იმედო. ჩვენც ვყოფილვართ თქვენი ასაკისა, ჩვენც თქვენსავით მღელვარებით ველოდით ჩვენს პირველ სტარტებს, ჩვენს პირველ სპარტაკიადას. ამიტომ კარგად გვაქვს წარმოდგენილი თქვენი ამჟამინდელი მღელვარებაც, იმედებიც, სურვილი იმისა, რომ ასახელოთ სამშობლო, ეროვნული სპორტი, იყოთ მისი მდიდარი ტრადიციების ღირსეული მემკვიდრენი. სპორტში ოსტატობა უპირველესი რამ არის, მაგრამ გამოცდილებით ვიცით, რომ ზოგჯერ გამარჯვებისთვის თვით ყველაზე სრულყოფილი, დახვეწილი ოსტატობაც კი საკმარისი არაა. ამ დროს სპორტსმენმა მოკავშირედ უნდა მოუხმოს მტკიცე ნებისყოფას, შემართებას, თავდადებას, დასახული მიზნისაკენ შეუნელებელ სწრაფვას. მაშინ გამარჯვებასაც მეტი ფასი დაედება — უფრო დასამახსოვრებელი და საამაყო იქნება. დარწმუნებული ვართ, რომ რესპუბლიკის მოსწავლეთა სპორტული დელეგაციის ყოველი წევრი მიიღებს უფროსი მეგობრების ამ გულწრფელ რჩევა-დარიგებას და მონდომებას არ დააკლებს ქართული სპორტის ღირსებისა და სახელის განდიდების კეთილშობილურ, პატრიოტულ საქმეს. აკი არასდროს ყოფილა ჩვენს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურა და სპორტი ასეთი ზრუნვით, ყურადღებით გარემოსილი. ამას თითოეული ჩვენგანი, დიდიც და პატარაც კარგად გრძნობს და აფასებს.

დღეს, ამ წუთებში, თქვენთვის სპორტული სარბიელი, სპარტაკიადა თქვენი მამულიშვილობის წარმომჩენი, ხოლო ხვალ უფრო მნიშვნელოვანი და, არ დაგიმალავთ, ძნელად შესასრულებელი საქმე დაგეკისრებათ — იზრუნოთ ქართული სპორტის შემდგომი წინსვლისთვის შინ თუ გარეთ. მერე და მერე თქვენზე იქნება დამოკიდებული, როგორი პატივისცემით მოეკიდებიან საბჭოეთსა თუ უცხოეთში ჩვენს სპორტს, როგორ დააფასებენ მას, როგორც ერის ფიზიკური და სულიერი თვისებების წარმომჩენ ფენომენს. თქვენ ამთავითვე უნდა შეისისხლხორცოთ ამჟამინდელი თუ სამომავლო მისია, რომელსაც სამშობლო, სპორტი და დრო დაგაკისრებთ, თქვენი ჯანსაღი პატრიოტიზმი გიკარნახებთ და შთაგაგონებთ. მაგრამ საამისოდ მარტო სურვილი არ კმარა: დიდი სიმაღლეები მხოლოდ იმათ ნებდება, ვინც ენერგიის დაუშურველად ასრულებს დაკისრებულ საქმეს.

სულითა და გულით გისურვებთ, ჩვენო ნორჩო მეგობრებო, გამარჯვებას. ოღონდ პატიოსან, რაინდულ და სამართლიან პაექრობაში მოპოვებულს.

გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ არა მარტო ჩვენი სპორტის, არამედ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე.

ქეთევან ლოსაბერიძე, ნანა ალექსანდრია, ლევან თედიაშვილი, ვიქტორ სანეევი, მიხეილ მესხი, გურამ ბიგანიშვილი, თეიმურაზ აფხაზავა, სერგეი ტერნოვიხი, ვლადიმერ აფციაური, ალექსანდრე ჩივაძე, ზურაბ საკანდელიძე, შოთა ხაბარელი, თამაზ იმნაიშვილი, თამაზ ნამგალაური.

ლოგიკა თუ ფანტაზია?

მსოფლიოს ექსჩემპიონს, საერთაშორისო დიდოსტატს მიხეილ ტალს კარელიაში შევხვდი. წიგნის „შეტევის ცეცხლში" ავტორი (თანაავტორი ი. დამსკი), სწორუპოვარი საჭადრაკო „თავდამსხმელი" იძულებული იყო მთელი კვირის განმავლობაში „თავი დაეცვა"... თუ სეანსებში იგი, როგორც ნებისმიერი მოჭადრაკე-სეანსორი, თეთრებით თამაშობდა, გულშემატკივრებთან შეხვედრებში „სვლა" აუდიტორიას დაუთმო. გულშემატკივრებმაც სიტყვასავით დააყარეს შეკითხვები. დიდოსტატი ადვილად პასუხობდა, მაგრამ თეთრების იერიშების მოგერიება არც ისე იოლი იყო.

● მაინც როგორ დამთავრდება კარპოვ—კასპაროვის მატჩი? — შეკითხეს ექსჩემპიონს ონეგის სატრაქტორო ქარხანაში.

— ასეთ დროს ამბობენ: ვიცი, მაგრამ არ ვიტყვი. მე სხვაგვარად გიპასუხებთ: არ ვიტყვი, იმიტომ, რომ არ ვიცი.

რასაკვირველია, აუდიტორია ამ პასუხით ვერ დაკმაყოფილდა. პასუხმა ვერ დამაკმაყოფილა ვერც მე — „სოვეტსკაია როსიას" მკითხველთა წარგზავნილი. შევეცადე სხვა მხრიდან მომევლო და დიდოსტატს შევახსენე, რომ 10 წლის წინათ, პრეტენდენტთა მორიგი ციკლის დაწყებამდე მან გაზეთის ფურცლებზე გამოთქვა მოსაზრება — მეთორმეტე საჭადრაკო ჩემპიონი ანატოლი კარპოვი იქნებაო... იქნება თუ არა კასპაროვი მეცამეტე მსოფლიო ჩემპიონი?.. როდის მოხდება ეს? ამ მატჩში? მომდევნოში? თუ უფრო მოგვიანებით?..

ტალმა ამ პროგნოზსაც თავი აარიდა; მაშინ გადავწყვიტე ექსჩემპიონთან თავად მატჩზე და მონაწილეებზე — მსოფლიოს ორ წამყვან დიდოსტატზე მესაუბრა.

— არა უბრალოდ წამყვანი, — ამბობს მიხეილ ტალი, — ამჟამინდელი ჩემპიონი და ამ წოდების პრეტენდენტი მართლაც რომ მსოფლიოში უძლიერესი მოჭადრაკეები არიან.

ფიდე-ს მონაცემებით 1984 წლის 1 ივლისისთვის უმაღლესი „ნომინალი" აქვს კასპაროვს (2715), თითქმის ამდენივე კოეფიციენტი — კარპოვს (2705), მესამე ადგილზე მყოფ ჰოლანდიელ ტიმანს კი ლიდერებთან შედარებით 65-55 პუნქტით ნაკლები. თვალში საცემი უპირატესობაა...

● ამ ორი საბჭოთა დიდოსტატის მატჩისადმი დიდ ინტერესს იჩენენ მთელს მსოფლიოში. არის აზრი, რომ ასეთი ორთაბრძოლა, რომელიც 9 სექტემბერს მოსკოვში დაიწყება, კაპაბლანკას და ალიოხინს შორის 1927 წელს გამართული საინტერესო დუელის შემდეგ აღარ შემდგარა.

— მე სხვა ანალოგს მოვიტანდი, — თქვა მიხეილ ტალმა. — 1927 წელს კი არა, 1972 წელს გავიხსენებდი. რეიკიავიკი, სპასკი — ფიშერი. არც ამ მატჩს გამოუწვევია ნაკლები ინტერესი. ერთმანეთს ხვდებოდა იმდროისათვის ორი ყველაზე ძლიერი მოჭადრაკე. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ კარპოვმა და კასპაროვმა ბევრად გაუსწრეს სხვა დიდოსტატებს.

● რა თქმა უნდა, ცოტას როდი ნიშნავს კარგი კოეფიციენტი, მაგრამ, ანატოლი კარპოვმა თქვა: „ელოს კოეფიციენტი მოჭადრაკის სავიზიტო ბარათია, რაც მე არ მჭირდება. მე ჩემს მიერ ნათამაშევი ყოველი კონკრეტული პარტია უფრო მეტად მაინტერესებს". და მაინც, ელო შედარებით ობიექტურად ასახავს მოჭადრაკის სიძლიერეს. მაგალითად, ამჟამად პრეტენდენტის მაჩვენებელი მთელი 10 პუნქტით სჯარბობს ჩემპიონისას. მათემატიკა მის მხარეზეა. კიდევ რა უპირატესობა აქვს პრეტენდენტს და რა ჩემპიონს?

— ისტორია ცხადყოფს, რომ პრეტენდენტს მუდამ თან ახლავს ე. წ. ფსიქოლოგიური ზურგქარი. პრეტენდენტი, რომელმაც ითამაშა სამ შესარჩევ მატჩში, სპორტული ფორმის მწვერვალზე იმყოფება, ჩემპიონს კი უფრო უძნელდება მისი შენარჩუნება. ვერც ერთი ტურნირი და შეჯიბრება ვერ შეედრება მატჩებში მონაწილეობას. მეორეს მხრივ, მსოფლიო ჩემპიონს პრეტენდენტთან შეხვედრაში ექნება უდიდესი უპირატესობა — გამოცდილება. კარპოვმა ითამაშა ორი ულიმიტო მატჩი მსოფლიო პირველობაზე, კასპაროვს კი არც ერთი არ უთამაშია. ჭადრაკი ულიმიტო მატჩებში სულ სხვა თამაშია, ვიდრე ტურნირებში და თუნდაც პრეტენდენტთა მატჩებში. მოჭადრაკე სატურნირო ბრძოლებში იზრდება. ტურნირებში იგი ჩვეულებრივ 13-15 პარტიას თამაშობს და მისი ორგანიზმი ეჩვევა ასეთ დატვირთვას. 18-20 პარტიის შემდეგ კი ხშირად ძნელი გამოსაცნობია რას მოიმოქმედებს იგი ჭადრაკის დაფასთან. პრეტენდენტთა მატჩებში გამარჯვებულმა განსაზღვრული რაოდენობის პარტიებში მეტოქეზე მეტი ქულები უნდა მოაგროვოს. თუნდაც ერთი პარტიის მოგების შემდეგ ყოველი ყაიმი მას გამარჯვებასთან აახლოვებს, მსოფლიო პირველობის მატჩებში კი ყაიმები არ ითვლება, იმარჯვებს ის, ვინც 6 პარტიას მოიგებს. სულ სხვა თამაშია... ბაგიოს შემდეგ ასეთი შედარება მომივიდა აზრად: პრეტენდენტთა მატჩის შემდეგ ულიმიტო მატჩის ჩატარება იმას გავს, ვთქვათ, სიმაღლეზე ხტომაში მძლეოსნური ტურნირის საკვალიფიკაციო შეჯიბრების შემდეგ ფინალში გასულები სიგრძეზე ხტომაში ან შუბის მტყორცნელები უროს ტყორცნაში გამოიყვანონ.

ულიმიტო მატჩებში, — განაგრძობს დიდოსტატი, — უდიდეს მნიშვნელობას იძენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მოჭადრაკის ასაკი, ფიზიკური მომზადება. თუ მატჩი დაძაბულად წარიმართა და დიდხანს გაგრძელდა, იქნებ ფიზიკურად შესანიშნავად მომზადებულ 21 წლის გარისთვის უკეთესი იყოს, თუმცა კარპოვიც 33 წლის გახლავთ, იგი სწორედ საჭადრაკო ტალანტის გაფურჩქვნის ხანაშია. ხაზს ვუსვამ — გაფურჩქვნისა და არა მაქსიმუმის, მწვერვალის. დარწმუნებული ვარ, ანატოლი კარპოვს პიკისთვის ჯერ არ მიუღწევია. ჩვენ ჯერ კიდევ არ გვინახავს კარპოვი, მთელი ძალით, ასე ვთქვათ, 100 პროცენტით ამოქმედებული. აქამდე მას გამარჯვებისთვის მხოლოდ 80 პროცენტი ჰყოფნიდა, მაგრამ ამჯერად, ალბათ ასიც დასჭირდება.

● კარელიაში, ჭადრაკის მოყვარულებთან შეხვედრის დროს თქვენ თქვით, რომ კარპოვის მხარესაა ურყევი ლოგიკა და სალი აზროვნება, ხოლო კასპაროვის სასარგებლოდ მეტყველებს მისი დაუცხრომელი ფანტაზია. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თქვენ იზიარებთ იმ სპეციალისტთა აზრს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჩემპიონსა და პრეტენდენტს აქვთ სხვადასხვა საჭადრაკო მრწამსი, რომ ერთმანეთს ხვდებიან დიამეტრალურად საპირისპირო მოჭადრაკეები. ასე ვთქვათ, ცეცხლი და ყინული?..

— ჰოც და არაც. არა იმიტომ, რომ ისინი ერთი საჭადრაკო მრწამსის მქონე მოჭადრაკეები არიან... ჰო იმიტომ, რომ ისინი თავიანთი მრწამსის სარეალიზაციოდ სხვადასხვა გზას ირჩევენ. კარპოვს შესანიშნავად აქვს განვითარებული მოსალოდნელი საფრთხის „ყნოსვის" უნარი. იგი კასპაროვზე უფრო ნათლად ხედავს „პარტნიორის მაგივრად", თავის მხრივ კასპაროვი უფრო კარგად ხედავს „თავისთვის", ვიდრე ჩემპიონი. ამიტომ მათს ორთაბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა ექნება ფსიქოლოგიურ ინიციატივას. ვიტყვი ასე: თუ დაფაზე შეიქმნა პოზიცია, რომელშიც კარპოვი გამაგრებული ზურგით შეტევაზე გადასვლას შეძლებს, გარის ძალიან

გაუჭირდება, მაგრამ თუ კასპაროვმა შეუტია, თანაც ისე, რომ თავდაცვისთვის დიდი ჯაფა არ დაადგა, მაშინ შრომა ანატოლს მოუწევს. კარპოვი ბრწყინვალედ იყენებს „ცეცხლმქრობს": ჩემი აზრით, მომავალ ორთაბრძოლაში კასპაროვს ურჩევნია ბენზინის თანდათან დამატებით გააღვივოს ხანძარი.

● როგორც ჩანს, დიდოსტატ ტალისაგან მატჩის შედეგზე პროგნოზს ვერ ველირსებით... იქნებ ჟურნალისტი მიხეილ ტალი მაინც დაეხმაროს კოლეგას?

— რას იზამ, კოლეგას ვერ უღალატებ... ჩემი აზრით, კარპოვს წარმატების 50,1 პროცენტი შანსი აქვს, კასპაროვს — 49,9. ვალდებული ვარ გაგაფრთხილოთ, რომ პროგნოზებში ბევრჯერ შევმცდარვარ...

● სამაგიეროდ დიდოსტატებს შეუძლიათ კარგად ახსნან თუ რატომ არ გამართლდა მათი წინასწარმეტყველება... ამ მხრივ სამაგალითო იყო ქალთა მსოფლიო პირველობის შესარჩევი ციკლის მატჩები. ბევრი სპეციალისტი უპირატესობას შესანიშნავ ქართველ მოჭადრაკეებს ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა ალექსანდრიას ანიჭებდა, მაგრამ გაიმარჯვა ირინა ლევიტინამ...

— დიახ, ირა ლევიტინას გასვლა შესარჩევი ციკლიდან მთავარ მატჩში, ექსპერტთა უმრავლესობისთვის სიურპრიზი იყო. წლების მანძილზე ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის „ჩაწერის" საქმეს თბილისის ერთ-ერთი რაიაღმასკომი წყვეტდა (ყველა პრეტენდენტი და მსოფლიო ჩემპიონი საქართველოს დედაქალაქის ერთ რაიონში ცხოვრობს). და აი, სავსებით მოულოდნელად, ნევისპირელმა მოჭადრაკემ „სისხლისმღვრელი" ბრძოლები მოუგო ისეთ გამოწრთობილ საჭადრაკო სტრატეგებს, როგორიც არიან გაფრინდაშვილი, ალექსანდრია და შეურიგებელი მებრძოლი სემიონოვა..

ირინა ლევიტინასა და მაია ჩიბურდანიძის მატჩზე ფრთხილად ვიტყვი: მსოფლიო ჩემპიონის შანსი რამდენადმე უკეთესია...

● ინტერვიუერის მიზეზით დავარღვიეთ კარგი ტონი: თავიდან ვაჟებზე ვილაპარაკეთ, შემდეგ — ქალებზე...

— მეც ბოდიშს ვიხდი ამის გამო, — თქვა მიხეილ ტალმა. — მით უმეტეს, რომ ჭადრაკში ემანსიპაციისთვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა და გამორიცხული არ არის, რომ ახლო მომავალში ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა თავისი წოდება დიდოსტატ ქალთან მატჩში დაიცვას...

● ეს ვარაუდი ცოტა ფანტასტიკურად მეჩვენება...

— რატომ?.. გავბედავ და დავასახელებ მოჭადრაკე ქალს, რომელმაც შესაძლოა განახორციელოს ეს. მას ჰქვია ჟუჟა პოლგარი. ცხოვრობს უნგრეთში, 15 წლისაა. ქალთა შორის საუკეთესო კოეფიციენტი მან ვაჟთა ტურნირებში თამაშით მოაგროვა... მისი მშობლები მოჭადრაკეები არიან და ამ გოგონასაგან ზრდიან არა ქალთა შორის, არამედ ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონს, მას ჰყავს ორი ერთმანეთზე ნიჭიერი უმცროსი და. შემიძლია ვიამაყო, რომ ჟუჟას რამდენიმე პარტია მოვუგე. ეს იყო ორი წლის წინ. მან მთხოვა მეთამაშა „ბლიცი". პირველივე პარტიაში ჩემი ყურადღება მიიქცია ლამაზმა, მრავალსვლიანმა საყაიმო კომბინაციამ... დარწმუნებული ვიყავი, რომ 13 წლის გოგონა ვერ შეამჩნევდა მას, მაგრამ რაღაც 10-15-ოდე წამში ჟუჟამ სვლას მიაგნო და ყაიმი გააკეთა. მომდევნო პარტიებში მთელი ენერგიით თამაში მომიხდა მოგებისათვის... ვიმეორებ: სულაც არ გამიკვირდება რამდენიმე წლის შემდეგ ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონის მეტოქედ ჟუჟა პოლგარი რომ მოგვევლინოს.

საუბარი მიჰყავდა
ა. სამოილოვს.
„სოვეტსკაია როსია", 16 აგვისტო, 1984 წ.

ამას წინათ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტმა გარი კასპაროვმა ინტერვიუ მისცა ლონდონის გაზეთ „მორნინგ სტარის" (დიდი ბრიტანეთის კომპარტიის ორგანო) კორესპონდენტს გ. ტეილორს. გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს ამ ინტერვიუდან.

ასე ფიქრობს კასპაროვი

კორესპონდენტმა პრეტენდენტს გაახსენა ის ამბავი, რომ მან თავის ახლახან გამოსულ წიგნში „ჩემი პარტიები" დაგმო ჭადრაკისადმი „პრაგმატისტული" და „წმინდა სპორტული" მიდგომა, რომელიც, პრეტენდენტის აზრით, 70-იანი წლების საჭადრაკო შეჯიბრებას ახასიათებდა. და რომ თვით კასპაროვი, როგორც არაერთგზის განუცხადებია, ჭადრაკში უპირატესობას ანიჭებს ბრძოლების შემოქმედებით შინაარსს.

● ჰო, მაგრამ თამაშისას, უწინარეს ყოვლისა ხომ პარტიის მოგებაზე და ქულის მოპოვებაზე ფიქრობთ. ასე არ არის?

— როგორი ვითარებაც არ უნდა შეიქმნას, მე პირველ რიგში იმას ვცდილობ, პარტია საინტერესო გამომივიდეს.

შესაძლოა, მომავალში მოჭადრაკე პარტიას უფრო უნივერსალურად და ბალანსირებულად მიუდგეს, მაგრამ მან თანაბარი ყურადღება უნდა დაუთმოს ჭადრაკის სამ ელემენტს, უფრო სწორი ვიქნებით თუ ვიტყვით ოთხ ელემენტს, რადგან, როგორც სამართლიანად აღნიშნავს მიხეილ ბოტვინიკი, ჭადრაკი ხელოვნების, მეცნიერებისა და სპორტის ელემენტების გარდა, კიდევ მოიცავს ერთს — მუდმივი შემოქმედებითი აზრის ელემენტს.

● თქვენი სტილის შესახებ მრავალნაირი აზრი გამოითქვა. ზოგიერთი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ თქვენი სტიქიაა შეტევა და კომბინაცია. ზოგნი (მათ შორის, ბოტვინიკიც) მიიჩნევენ, რომ თქვენ არასაკმარისად ძლიერი ხართ საჭადრაკო სტრატეგიასა და პოზიციურ თამაშში. ერთნი კი ფიქრობენ, რომ სუსტი მხარე თქვენ თამაშში საერთოდ არ არსებობს.

—ყველა ეს აზრი თანაბრად სწორია, რამდენადაც ჩემი საჭადრაკო კარიერის სხვადასხვა პერიოდს ეხება. როცა უფრო ახალგაზრდა ვიყავი, პირველ ყოვლისა, ეფექტურ შეწირვებზე და გამანადგურებელ შეტევაზე ვფიქრობდი. ახლა ვცდილობ ისე ვითამაშო, როგორც პოზიცია მიკარნახებს. რაც შეეხება ჭადრაკის სტრატეგიასა და პოზიციურ თამაშს, დღეს ამ სფეროში ბოტვინიკი უკვე უვიცად აღარ მთვლის.

● ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თქვენ საჭადრაკო სტილს იცვლით?

— მე სტილს კი არ ვიცვლი, არამედ სრულვყოფ.

● როცა პრეტენდენტთა მატჩში ვასილ სმისლოვს ხვდებოდით, არც თუ იშვიათად ნამდვილ „სმისლოვისებურ სვლებს" აკეთებდით.

როგორც ჩანს, თქვენ ალიოხინს ბაძავდით, რომელიც 1927 წელს მსოფლიოს პირველობაზე კაპაბლანკასთან მატჩში ცდილობდა მეტოქე მისებურივე თამაშის სტილით გაეოგნებინა.

— დიახ, ეს სწორი გახლავთ.

● ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ განაცხადეთ, რომ თითოეული საჭადრაკო ფიგურა, რომელსაც კი ხელში იღებთ, თქვენი ხასიათის რაღაც ნაწილს შეიცავს, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ თქვენი მწვრთნელების აზრებმა და შეხედულებებმა თქვენს სტილზე გარკვეული გავლენა იქონიეს, კვალი დაამჩნიეს მას.

—ეს ასე არ არის. მწვრთნელები ჩემთვის მხოლოდ ზოგად პროგრამას ქმნიან. მე აქედან იმ ელემენტებს ვიღებ, რაც ხელს მაძლევს, დანარჩენზე კი უარს ვამბობ. მწვრთნელებს არასოდეს მოუხდენიათ გავლენა ჭადრაკისადმი ჩემს დამოკიდებულებაზე, თუმცა უნდა ითქვას, რომ ბოტვინიკს სხვადასხვა კერძო საკითხებზე მეტად სასარგებლო რჩევა მოუცია.

● შეგვიძლიათ თუ არა პარტიის ანალიზის დროს, სტილის მიხედვით დაადგინოთ ალიოხინი თამაშობს თუ, ვთქვათ, ბრონშტეინი?

— დიახ, შემიძლია, თუმცა ეს წარსულისა და თანამედროვეობის უდიდესი მოჭადრაკეების შემოქმედების ცოდნასა და ღრმა ანალიზს მოითხოვს.

● როგორ აფასებთ ჭადრაკის ტიტანებს? მე გავიგე, რომ ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას თქვენზე ფიშერისა და ალიოხინის პარტიები ახდენენ.

— მე ფიშერს ყველა დროის უძლიერეს მოჭადრაკედ ვთვლი.

● ვისღა აკუთვნებთ მეორე ადგილს?

— რომელიმე ერთის გამოყოფა ძალიან მიჭირს. ალიოხინი, კარპოვი და მსოფლიოს დანარჩენი ჩემპიონების უმეტესობა, ჩემის აზრით, მეორე ადგილს იყოფს.

● რაკი მსოფლიოს ჩემპიონებზე ჩამოვარდა სიტყვა, როგორ აფასებთ კარპოვთან თქვენი მატჩის პერსპექტივებს?

— მე ვთვლი, რომ ჩვენ დაახლოებით თანაბარი პერსპექტივები გვაქვს, რომ ვითამაშებთ 21-28 პარტიას, მატჩი ორ-სამ თვეს გასტანს.

● ყოველდღიურად რამდენ დროს უთმობთ ჭადრაკს?

— ოთხიდან რვა საათამდე. გარდა ამისა, დღეში საათნახევრის ფიზიკურ ვარჯიშებს ვანდომებ. მატჩის მოახლოებასთან ერთად საწვრთნელ დატვირთვებსაც გავზრდი.

● როგორ აფასებთ საბჭოთა კავშირ — „დანარჩენი მსოფლიოს" მატჩის შედეგებს?

— რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის ნაკრებს საფუძველი აქვს კმაყოფილი იყოს. თუმცა ჩვენ შეგვეძლო უკეთესი შედეგისათვისაც მიგვეღწია, მაგრამ ხშირად ვერ ვიყენებდით ხელსაყრელ მომენტებს. აი მე, მაგალითად, შემეძლო უკეთესი ანგარიშით მომეგო იან ტიმანთან (ეს მიკრომატჩი კასპაროვმა მოიგო ანგარიშით 2,5:1,5), „დანარჩენი მსოფლიოს" გუნდის შემადგენლობაში უნგრელი ლაიოშ პორტიში და ჩეხოსლოვაკიელი ვლასტიმილ ჰორტი რომ ყოფილიყვნენ, უფრო გაგვიჭირდებოდა. თუმცა, ვიმეორებ, ჩვენ მთლიანად ვერ გამოვიყენეთ რეზერვები.

● როგორც მახსოვს, ამ მატჩამდე თქვენთან ტიმანი წარმატებით თამაშობდა. მაგალითად, მან 1981 წელს ტილბურგის (ჰოლანდია) საერთაშორისო ტურნირში დაგამარცხათ.

— ამ მიკრომატჩამდე ჩვენი ანგარიში თანაბარი იყო — 2:2. ახლა კი, თუმცა ტიმანთან თამაში იოლი არ იყო, ოთხივე პარტიაში რაღაც მომენტში უკეთესი პოზიცია მქონდა.

„როცა მასთან თამაშობთ, ფიზიკურად გრძნობთ, რომ დაფის მეორე მხრიდან გეხეთქებათ ენერგიის ტალღა" — ასე შეაფასა „კასპაროვის ეფექტი" ერთმა მრავალნაცადმა დიდოსტატმა. როცა ტოტენჰემ კორტ როუდზე საბჭოთა საჭადრაკო გენიოსთან შესახვედრად მივდიოდი, სწორედ მისი ნათქვამი გამახსენდა" — წერს „მორნინგ სტარის" მიმომხილველი გ. ტეილორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის პირველობა რეგბიში

„ლოკომოტივის“ პირველი გამარჯვება

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი)—„ელექტრომაში“ (ტირასპოლი) 10:9 (6:0).

„ლოკომოტივი“: ჩაჩანიძე, დათუნაშვილი, მჭედლიძე, ლუდუშაური, ხუადე, გიუნაშვილი, მონიავა, ლილუაშვილი, ჭეიშვილი, თავაძე, ავლასტიმოვი, ჭუმბურიძე, ჭილაია, მამრიკაშვილი, მამულაშვილი.

„ელექტრომაში“: ტკაჩენკო, ლიაშკო, მანზიუკი, ხივაკი, ტატარენკო, ლუბჩენკო, ლიავინი, შემელევი, ტელპიაკოვი, რეტიუნსკი, პაცულა, ხასოვსკი, კოტალიჩენკო, ვასილატა, ახტახოვი.

მსაჯი: ნიკოლაი ნაპოლნოვი (მოსკოვი).

უკვე მეორე წელია, რაც რეგბის ქართველ გულშემატკივრებს „ლოკომოტივის“ თამაში ოფიციალურ მატჩებში აღარ უნახავთ — ეს დიდი ტრადიციების მქონე გუნდი, რომელიც წარსულში მუდამ ლიდერთა შორის იმყოფებოდა, ახლა, სამწუხაროდ, უმაღლეს ლიგაში დარჩენაზე ზრუნავს... „ლოკომოტივის“ ავ-კარგზე, მის პრობლემებზე ბევრი ითქვა, ამიტომ მკითხველს თავს აღარ შევაწყენთ და პირდაპირ თამაშის მსვლელობის შესახებ მოვუთხრობთ.

რკინიგზელებს თამაშის დასაწყისშივე მიეცათ ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობა, როცა ტირასპოლელთა ჩათვლის მოედნის ახლოს მათ სასარგებლოდ დაინიშნა შერკინება. მესამე ხაზის მოთამაშეები დროულად გაიშალნენ და მეტოქეს მთელი ძალებით შეუტიეს, მაგრამ სტუმრებმაც იმარჯვეს — ზედ ხაზთან შეაჩერეს თბილისელები. ამ ეპიზოდის შემდეგ „ლოკომოტივი“ გამუდმებით უტევდა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მათ შეტევებს სიმწვავე აკლდა.

თამაშის 27-ე წუთზე რომან მამულაშვილმა მშვენივრად დაარტყა საჯარიმო 42 მეტრიდან, ბურთმა კარის ძელებს შორის გაიარა და ანგარიშიც გაიხსნა — 3:0. ათი წუთიც არ იყო გასული, რომ ბესარიონ ლილუაშვილმა უფრო შორი მანძილიდან, თითქმის 50 მეტრიდან შეძლო ბურთის გატანა—6:0; ასე დამთავრდა თამაშის პირველი ნახევარი.

გაცილებით საინტერესო გამოდგა მეორე ტაიმი. ის იყო თამაში განახლდა, რომ ტირასპოლელებმა საჯარიმო დარტყმით ბურთი მეტოქის კარის ძელებს შორის გაატარეს და სხვაობაც შემცირდა — 3:6. ქართველმა რეგბისტებმა რამდენჯერმე კარგად წამოიწყეს გონივრული კომბინაცია, სადაც საბოლოო მომენტში მცველიც უნდა ჩაერთოს თამაშში, მაგრამ მათ ეს დაბოლოება არ გამოსდიოდათ, რადგან არ ჰყავდათ ისეთი მცველი, რომელიც ღიად დარჩენილ დერეფანს სწრაფად გაირბენდა და წინა ხაზზე რიცხობრივ უპირატესობას შექმნიდა. ამ ფუნქციის შემსრულებელს რომან მამულაშვილს არ აღმოაჩნდა საჭირო სისწრაფე და სწორედ ამიტომ ვერ გამოიყენა თანაგუნდელთა მიერ შექმნილი სახარბიელო მდგომარეობა.

„მოლის“ სწორად დაყენება და იქიდან ბურთის დროულად გამოტანა მარტო თბილისელებს როდი უჭირთ, იგი ყველა საბჭოთა გუნდის აქილევსის ქუსლია, მაგრამ ბურთი დერეფნიდან და შერკინებიდან მაინც უნდა გამოდიოდეს სწრაფად, რათა სამმეოთხედელთა თამაშს უფრო მეტი ეფექტი ჰქონდეს. თბილისელები უდავოდ უკეთ თამაშობდნენ დერეფანში, მაგრამ პირველ გადაცემას მაინც აგვიანებდნენ. ეს „ტრადიცია“ მათ ერთადერთხელ დაარღვიეს და მაშინაც ტირასპოლელთა „ქალაქში“ დაამიწეს ბურთი. აი, როგორ მოხდა ეს: თამაშის 62-ე წუთზე „ელექტრომაშის“ ოცდაორმეტრიანი ზონის მისადგომებთან თბილისელებმა გვერდითი ხაზიდან დერეფანში შემოაგდეს ბურთი, რომელსაც თავადვე დაეუფლნენ და დაუყოვნებლივ გადააწოდეს ბესიკ ლილუაშვილს, რომელმაც უკან ჩამოიტოვა მეტოქის თავდამსხმელები და ჩათვლის მოედნისაკენ დაიძრა. ელექტრომაშელთა თავისუფალი ნახევარმცველი (№ 10) და პირველი სამმეოთხედელი იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ საკუთარი პოზიციები, რათა ლილუაშვილი შეეჩერებინათ, მაგრამ თბილისელი თავდამსხმელები დროულად მიეშველნენ მას, „მოლი“ დააყენეს და ბურთი იქიდანაც სწრაფად გამოიტანეს. შერკინების ნახევარმცველმა მალხაზ ჭეიშვილმა (№ 9) ბურთი მარჯვენა ფრთაზე გადააწოდა თავის სამმეოთხედელებს — აქ უკვე ოთხი თბილისელის წინააღმდეგ ორი ტირასპოლელი იყო... ამ სიტუაციაში მოულოდნელად და ეფექტურად ითამაშა რკინიგზელთა კაპიტანმა გივი ავლასტიმოვმა — მან სწრაფად ჩაურბინა გვერდით თენგიზ თავაძეს, რომელიც ბურთს ფლობდა და ამით მეტოქე ისე დააბნია, რომ უნებურად შეიქმნა ღია დერეფანი, სადაც ელვის სისწრაფით შეიჭრა თავაძე და ბურთი ლამაზი ნახტომით დაამიწა — 10:3. სამწუხაროდ, თბილისელებმა რეალიზაცია ვერ გამოიყენეს...

ტირასპოლელებმა საშიშროება იგრძნეს და მასპინძლებს მწვავედ შეუტიეს, თბილისელები კი ერთგვარად დაამშვიდა შვიდქულიანმა სხვაობამ და სწორედ ამიტომ იყო, რომ ასტახოვმა და ვასილატმა ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს (ორივე მათგანმა კარგად გამოიყენა საჯარიმო დარტყმები). თამაშის მიწურულს კი „ლოკომოტივი“ ძლივს გადაურჩა სტუმართა ორ სახიფათო შეტევას, მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ორივე შემთხვევაში შეძლეს მეტოქის მოგერიება და თამაში გამარჯვებამდე მიიყვანეს.

გუშინ გაიმართა კიდევ ორი მატჩი: ლვოვის „სოკოლმა“ დაამარცხა ტირასპოლის „ელექტრომაში“ — 6:3 (6:0), ხოლო „ლოკომოტივმა“—მოსკოვის „სპარტაკი“ — 16:9 (9:6).

დღეს გუნდები ისვენებენ.

ხვალ თბილისის „ლოკომოტივი“ შეხვდება ლვოვის „სოკოლს“.

მატჩი დაიწყება 18 ს. 30 წთ.

დავით კილასონია.

ნუგზარ შატაიძე.

ფრანგულ ტატამზეც მოსინჯავენ ძალებს

გორელი ძიუდოისტები — მთავარ ნაკრებში

მკითხველმა უკვე იცის, რომ მინსკში სტუდენტთა საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ ძიუდოისტთა შეჯიბრებაში 28 უმაღლეს სასწავლებელს შორის II ადგილი დაიკავეს გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენებმა.

გვესაუბრება საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გურამ პაპიტაშვილი:

— მიზანს არც ისე დავშორებივართ, ასე რომ, საყვედური არ გვეთქმის, განსაკუთრებით გიორგი, ანზორ თენაძეები და კონსტანტინე ხუბულური მინდა შევაქო. ისინი ჩემპიონის საპატიო ტიტულებს დაეუფლნენ.

— **მინსკის ტურნირი საფრანგეთის საერთაშორისო შეჯიბრებისთვის ნაკრების შერჩევასაც ითვალისწინებდა. თქვენ, როგორც ჩვენი ქვეყნის სტუდენტთა ნაკრების უფროს მწვრთნელს, ვინ მიგაჩნიათ გორელთაგან საფრანგეთში წაყვანის ღირსად?**

— ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ყველაფერს გადაწყვეტს საწვრთნელი შეკრება, რომელიც პოდოლსკში 15 დეკემბერს დაიწყება და ოც დღეს გასტანს. შეკრებაზე საქართველოდან მიიწვიეს ძმები ანზორ და გიორგი თენაძეები, ჯემალ მჭედლიშვილი, კონსტანტინე ხუბულური, გელა გოგოლაური, ტრისტან ბაშარული, კობა კურტანიძე, კუკური დავითაშვილი, მალხაზ ალბორიშვილი, ვახტანგ ბუქულიშვილი, გელა ბაზანდარაშვილი, გელა ჯიოშვილი და დავით საბაშვილი... უნდა ითქვას, რომ საფრანგეთში ძალზე ძნელი შეხვედრები მოგველის როგორც მასპინძლებთან, ისე გერმანიის დემოკრატიული და ფედერაციული რესპუბლიკების, კორეისა და იაპონიის წარმომადგენლებთან. ვეცდებით უძლიერესთა სამეულს მიღმა არ დავრჩეთ.

ილია თევდორაშვილი.

(„ლელო“ კორ.).

ნაკრები ემზადება

მოახლოვდა დრო, როცა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები უნდა ჩაებას 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში. სულ მალე, 12 სექტემბერს ჩვენი გუნდი დუბლინში შეხვდება ირლანდიის ნაკრებს.

სსრ კავშირის ნაკრების ხელმძღვანელებმა ამ მატჩისთვის მოსამზადებლად მიიწვიეს უმაღლესი ლიგის 8 კლუბის 19 მოთამაშე. მათ შორის არიან:

მეკარეები — რ. დასაევი („სპარტაკი“), ვ. ნოვიკოვი (ცსკა);

მცველები — თ. სულაქველიძე და ა. ჩივაძე („დინამო“, თბილისი), ს. ბალტაჩა და ა. დემიანენკო („დინამო“, კიევი), ს. ბოროვსკი („დინამო“, მინსკი), ბ. პოზდნიაკოვი და ა. ბუბნოვი („სპარტაკი“);

ნახევარმცველები — ს. ალეინიკოვი, ს. გოცმანოვი და ა. ზიგმანტოვიჩი („დინამო“, მინსკი), ვ. ბესონოვი („დინამო“, კიევი), ხ. ოჰანესიანი („არარატი“), გ. ლიტოვჩენკო („დნეპრი“);

თავდამსხმელები — ს. როდიონოვი („სპარტაკი“), ო. პროტასოვი („დნეპრი“), ო. ბლოხინი („დინამო“, კიევი), ა. ვორობიოვი (ასკ, დონის როსტოვი).

ინფორმაცია

ბრიუსელი. არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრები ამხანაგური საერთაშორისო მატჩების სერიას ატარებს ევროპაში, განვლილ ოთხშაბათს იგი ამ ქალაქში შეხვდა ბელგიის ეროვნულ ნაკრებს.

არგენტინელებმა ჩინებულად ითამაშეს და ჯერ კიდევ პირველ ტაიმში 2 ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში (ტრობიანი, რაგერი). თავი გამოიჩინეს არგენტინელთა ახალგაზრდა მცველებმა, რომლებმაც შეძლეს ისეთი გამოცდილი ბელგიელი ფეხბურთელების ნეიტრალიზება, როგორებიც არიან ჩერნიატინსკი, კულემანსი, ვერკოტერენი. მატჩი აღინიშნა ორმხრივი უხეშობით, მინდვრიდან გააძევეს არგენტინელი რაგერი.

მანამდე, 1 სექტემბერს არგენტინის გუნდმა ბერნში დაამარცხა შვეიცარიის ნაკრები — 2:0 (პონსა, დერტიჩო).

1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატთან შედარებით არგენტინელებმა მთლიანად განაახლეს შემადგენლობა, ნაკრებში მრავალი ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელია.

პარიზი. ევროპის განვლილი ჩემპიონატის შემდეგ, სადაც ფრანგებმა პირველი ადგილი დაიკავეს, ამ გუნდმა პირველი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა და „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე მიიღო მილანის „ინტერი“ (იტალია). გაიმარჯვეს იტალიელებმა— 1:0, ბურთი 83-ე წუთზე გაიტანა კალოვატიმ. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის ნაკრებში ამ დღეს არ გამოდიოდნენ პლატინი, ჟირესი და ტიგანა, გუნდს პირველად ხელმძღვანელობდა ახალი მწვრთნელი ანრი მიშელი. „ინტერის“ შემადგენლობაში გამოირჩეოდა კლუბის ახალი მოთამაშე, გფრ-ის ნაკრების კაპიტანი რუმენიგე.

ფლორენცია. ფრედ — 2:2 დამთავრდა ბრაზილიის „კორინტიანსისა“ და ადგილობრივი „ფიორენტინას“ შეხვედრა.

საინტერესოა, რომ ამ მატჩში ანგარიში გახსნა ბრაზილიელთა ყოფილმა კაპიტანმა სოკრატესმა, რომელიც ახლა „ფიორენტინაში“ გამოდის. სოკრატესმა ბურთი... საკუთარ კარში გაიტანა, მაგრამ შემდგომში დიდი მონდომებით ითამაშა, ამის შედეგად „ფიორენტინა“ დაწინაურდა — 2:1, მაგრამ ბრაზილიელებმა ბოლო წუთებზე გაათანაბრეს ანგარიში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ გერაში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი: მასპინძელთა ეროვნული გუნდი რუმინეთის ნაკრებს შეხვდა. ანგარიში მე-4 წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გახსნა სტუმართა გუნდის თავდამსხმელმა ირიმესკუმ. მე-18 წუთზე მინგემ გაქვითა ეს გოლი, ხოლო უკანასკნელ, 90-ე წუთზე ლიბერსმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანა რუმინელთა კარში — 2:1. საინტერესოა, რომ ამ დროს სტუმართა გუნდში 9 ფეხბურთელი თამაშობდა: შეხვედრის მსაჯმა, საბჭოთა არბიტრმა ვ. ჟუკმა (მინსკი) მინდვრიდან გააძევა ჯერ იორგულესკუ (48-ე წუთზე), შემდეგ კი ირიმესკუ (62). ეს შეხვედრა 99-ე გამოდგა გდრ-ის ფეხბურთის ვეტერანისთვის, 33 წლის იოახიმ შტრაიჰისთვის, რომელიც სულ მალე ალბათ „ასიანთა“ საპატიო კლუბის წევრი გახდება.

დრამენში ნორვეგიის ნაკრებმა პოლონეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. გოლები გაიტანეს ტარასევიჩმა (პოლონეთი, 48-ე წთ.) და დავიდსენმა (56). საუკეთესოდ ითამაშა პოლონეთის ნაკრების ლიდერმა ლადისლავ ჟმუდამ, მისთვის ეს მატჩი 81-ე გახლდათ ეროვნული გუნდის შემადგენლობაში.

დრო არ ითმენს

იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელად ახლახან დანიშნულმა მილოშ მილუტინოვიჩმა ინტერვიუ მისცა ზაგრების გაზეთ „სპორტსკე ნოვოსტის“ კორესპონდენტ ლუკიჩს.

მწვრთნელმა მადლობა გადაუხადა იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებს, რომლებმაც მას ასეთი ნდობა გამოუცხადეს. არადა, კანდიდატებს შორის ასახელებდნენ ისეთ ცნობილ სპეციალისტებსაც, როგორიც არიან ზაგრების „დინამოს“ ყოფილი ხელმძღვანელი ვლადიმირ მარკოვიჩი ან ნაკრებისა და შემდეგ მადრიდის „რეალის“ მწვრთნელი ვუიადინ ბოშკოვი.

მილუტინოვიჩმა განაცხადა, რომ მან იუგოსლავიის ნაკრები საკმაოდ რთულ პირობებში ჩაიბარა:

— ჩვენ ახლა ექსპერიმენტების დრო არა გვაქვს: 29 სექტემბრისათვის დანიშნულია მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩი ბულგარელებთან. ნაკრებს ბევრი პრობლემა აქვს გადასაჭრელი: იუგოსლავიის სახალხო არმიაში გაიწვიეს ჩვენი წამყვანი ფეხბურთელები დ. სტოიკოვიჩი და კატანეცი. მოსალოდნელია კიდევ რამდენიმე მოთამაშის ჯარში გაწვევა. მათ, ცხადია, ველარ ვათამაშებთ. გარდა ამისა ფიფა-მ სხვადასხვა ვადით დასაჯა ჩვენი ნაკრების მოთამაშეები ნიკოლიჩი, ცვეტკოვიჩი და მრკელა. უცხოეთის კლუბებში გადავიდნენ ზაიეცი, ნ. სტოიკოვიჩი, სიმოვიჩი. რამდენიმე ფეხბურთელი დაშავებულია. მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩები მოახლოვდა, მოსამზადებლად კი ძალზე ცოტა დრო გვრჩება.

● **რას იტყვით თქვენს თანაშემწეებზე ტოპლაკსა და ოსიმზე?**

— მე მათგან, ისევე როგორც ჩვენი კლუბების ხელმძღვანელებისაგან, საქმიან თანამშრომლობას მოველი. ყველას გავაცნობ ჩემს პროგრამას, რომელშიც შეუძლიათ კორექტივებიც შეიტანონ.

მილუტინოვიჩმა დასძინა, რომ უახლოეს დღეებში აპირებს ნაკრების კანდიდატების საბოლოოდ შერჩევას. იგი მოელაპარაკება უცხოეთის იმ კლუბებსაც, სადაც იუგოსლაველი ფეხბურთელები გამოდიან. 12 სექტემბერს გლაზგოში შოტლანდიელებთან ამხანაგური მატჩის შემდეგ იუგოსლავიის ნაკრები დაიწყებს მზადებას მსოფლიო პირველობის შესარჩევი შეხვედრებისთვის. მწვრთნელის აზრით, 29 სექტემბრისათვის, როცა დანიშნულია შეხვედრა ბულგარელებთან, ნაკრების ყველა წევრი საუკეთესო სპორტულ ფორმაში უნდა იყოს.

მასალა მოამზადა
ბიძი თორელმა.

„მეგობრობა-84"

ხუთჭიდელები სტარტზე გავიდნენ

ვარშავა. გრძელდება თანამედროვე ხუთჭიდელთა საერთაშორისო ტურნირი (ეს შეჯიბრება პოლონეთის დედაქალაქში ტარდება „მეგობრობა-84"-ის პროგრამით). პირველ-ორ დღეს გაიმართა ცხენოსანთა ასპარეზობა. 15 დაბრკოლების დასაძლევად სპორტსმენებს მიცემული ჰქონდათ საკონტროლო დრო — 1.43,0.

ყველაზე სწრაფად დისტანცია დაფარა რობერტ კარპინსკიმ (პოლონეთი) — 1.26,14. მეორე შედეგი ჰქონდა იოჟეფ ბუზგოს (უნგრეთი) — 1.37,0, მესამე — ტიმურ დოსიმბეტოვს (სსრ კავშირი) — 1.38,0. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ამ სამეულის არც ერთ წევრს დაბრკოლებების გადალახვის დროს საჯარიმო ქულა არ მიუღია, ამიტომ სამივემ ქულათა მაქსიმალური რაოდენობა (1100) დაიმსახურა.

საბჭოთა გუნდის სხვა წევრებიდან ყურადღებას იქცევს კრასნოდარელი ევგენი ლიპეევის შედეგი — 1070 ქულა. თბილისელ იგორ ბრიზგალოვს 1040 ქულა აქვს, ხოლო მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონს ანატოლი სტაროსტინს 1010 ქულა.

◆

კანადელთა მარცხი

გაიმართა ჰოკეიში კანადის თასის გათამაშების მესამე ტურის მატჩები. ტურნირის ერთპიროვნულმა ლიდერმა, სსრ კავშირის ნაკრებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა ამჯერად გფრ-ის გუნდთან 8:1 (0:0, 3:0, 5:1). გოლები გაიტანეს: მაკაროვმა და სემიონოვმა — ორ-ორი, კასატონოვმა, ლარიონოვმა, სვეტლოვმა და ვასილიევმა. გფრ-ის გუნდში თავი გამოიჩინა ბეტცმა.

აშშ-ის ჰოკეისტებმა დიდი გაჭირვებით დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიელები — 3:2 (1:1, 2:0, 0:1).

არანაკლებ მძაფრი ბრძოლით აღინიშნა ტურნირის მასპინძლების შეხვედრა შვედებთან. მატჩის საბოლოო შედეგი ერთობ მოულოდნელი იყო კანადელებისათვის. შვედებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:2 (1:1, 2:0, 1:1).

სატურნირო ცხრილში 6 ქულით პირველ ადგილზეა სსრ კავშირის ნაკრები. მას მხოლოდ ქულით ჩამორჩება აშშ-ის გუნდი. კანადელებს აქვთ 3 ქულა (III ადგილი), შვედებს — 2 ქულა (IV ადგილი).

◆

მოსწავლეთა
XVII
საკავშირო
სპარტაკიადა

კვლავ მარცხი

როგორც ვიუწყებოდით მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადა ტაშკენტში ხელბურთელთა ასპარეზობით დაიწყო. ჩვენმა გოგონებმა და ჭაბუკებმა ქვეჯგუფებში პირველი მარცხის შემდეგ კვლავ წარუმატებლად ითამაშეს. მეორე შეხვედრაში გოგონები დამარცხდნენ თურქმენეთის ნაკრებთან—10:30. ჭაბუკებს კი ყაზახმა თანატოლებმა სძლიეს — 21:34. მესამე მატჩი გოგონებს ლიტველებთან ჰქონდათ და კვლავ წააგეს — 14:34. ზედიზედ მესამე მარცხი იწვნიეს ჭაბუკებმაც. ამჯერად მათი მეტოქე იყო სომხეთის ნაკრები — 21:23.

ჰოკეი... ჰოკეის სამშობლოში

დიდი ჰოკეის თაყვანისმცემელთა რიცხვი წლიდან წლამდე მრავლდება. მართალია, სამხრეთის ქვეყნებში იგი შედარებით ძნელად იკვლევს გზას, მაგრამ ჩრდილოეთში უმაღლესი კლასის ჰოკეის მატჩების დროს ისე ცარიელდება ქუჩები, როგორც ჩვენთან დიდი ფეხბურთის ჟამს. საქართველოში ჰოკეის დღეს უკვე ბევრი მოყვარული და, თქვენ წარმოიდგინეთ, მიმდევრებიც ჰყავს. ვითვალისწინებთ მათ ინტერესს, იმას, რომ ამჟამად მიმდინარეობს „კანადა-84" თასის გათამაშების ტურნირი და გთავაზობთ მიმოხილვითი ხასიათის წერილს. მასში უცხოური პრესის მასალების მიხედვით წარმოგიდგენთ ამ ტურნირში საბჭოთა ნაკრების ყველაზე სერიოზულ მეტოქეს, კანადის ეროვნულ გუნდს.

ეს კოლექტივი მუდამ იმპროვიზებული შემადგენლობით ევლინება ჰოკეის სამყაროს და მხოლოდ დიდი შეჯიბრებების ჟამს იკრიბება. პირველად პროფესიონალ კანადელ ჰოკეისტთა ნაკრები მსოფლიომ იხილა 1972 წლის სერიალში: საბჭოთა კავშირი — კანადა. ეს იყო ჩვენთვის აბსოლუტურად უცნობ ჰოკეის სამყაროსთან შეხვედრა. თავდაპირველად, ვიდრე კანადელებს საქმეში ვნახავდით, მათი კლასი ყველას ზღაპრული გვეგონა და აზრადაც არ მოგვდიოდა პროფესიონალებისა და მოყვარულების შეჯიბრება: უბრალოდ, ვფიქრობდით, რომ მათი მატჩები პროფესიონალების აშკარა უპირატესობით ჩაივლიდა. შემდეგ, როცა მივხვდით, რომ თურმე პროფესიონალებთან თამაში და გამარჯვებაც კი შეიძლება, მეორე უკიდურესობაში გადავვარდით და კანადელები შედარებით სუსტ მოთამაშეებადაც კი მიიჩნია ზოგიერთმა. ალბათ, არც წინანდელი, არც მისი შემდგომი მოსაზრება არ არის ახლოს ჭეშმარიტებასთან. როგორც ჩანს, უფრო სამართლიანია „ოქროს შუალედის" დაძებნა: კანადური სკოლა ისევე ძლიერია, როგორც ევროპული. ორივეს დიდ სარგებლობას მოუტანს და მოაქვს კიდეც გახშირებული კონტაქტები. ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ კანადელებისაგან, მათ კი, რასაც თავადაც არ უარყოფენ — ჰოკეის საბჭოური სკოლისაგან. და თუმცა კანადელები ჩვენს გარდა სხვებთანაც თამაშობენ, მაინც საბჭოთა ჰოკეი მიაჩნიათ თავიანთ ყველაზე სერიოზულ და ანგარიშგასაწევ მეტოქედ. ასეა ამ ტურნირშიც, რომელსაც დღემდე მასპინძლებისა და ჩვენი გუნდისთვის მოჰქონდა წარმატება. ამჟამინდელი შეჯიბრება კვლავ ამ ორი გუნდის უპირატესობის ნიშნით წარიმართება. წინ გადამწყვეტი ბრძოლებია და, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება, თუ ზერელედ მაინც გადავავლებთ თვალს კანადელთა ახლანდელი გუნდის შემადგენლობას. ფიქრობენ, რომ უფრო ძლიერი ნაკრები კანადელ პროფესიონალებს არასოდეს გამოუყვანიათ. ეს თვით მასპინძელთა აზრია. რატომ ფიქრობენ ასე?

უეინ გრეცკი

კანადელთა ახალი ნაკრების ბირთვია ლიგის ჩემპიონისა და სტენლის თასის მფლობელის „ედმონტონ ოილერსის" წამყვან მოთამაშეთა ჯგუფი. მას ზოგჯერ გრეცკის გუნდსაც უწოდებენ ხოლმე ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ლეგენდად ქცეული ჰოკეისტის, კანადური პროფესიული ჰოკეის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედ მიჩნეული პოლონური წარმოშობის უეინ გრეცკის გამო. ამ ცენტრალურ თავდამსხმელთან ერთად „ედმონტონი" წარმოდგენილია სხვა უმაღლესი კლასის მოთამაშეებით. ესენი არიან: მეკარე გრენტ ფიორი, მცველები: პოლ კოფი, რენდი გრეგი, ჩარლი ჰადი, კევინ ლოუ, თავდამსხმელები: გლენ ანდერსონი და მარკ მესიერი.

როგორც ცნობილია, ჰოკეის ეროვნული ლიგის ჩემპიონატში ედმონტონელთა უახლოესი მეტოქე გახლდათ „ბოსტონ ბრუინზი", რომელმაც ნაკრებში მიავლინა თავისი ოთხი მოთამაშე: მეკარე პიტ პიტერსი, მცველი რაიმონ აბერკი, თავდამსხმელები ბერი პედერსონი და რიკ მიდლტონი. ბოლო წლებში ტოლი არ ჰყავდა სტენლის თასის ამჟამინდელ ფინალისტს „ნიუ-იორკ აილენდერსის" გუნდს, თუმცა წარსულ სეზონში მისმა აქციებმა შესამჩნევად იკლო. ეს, ბუნებრივია, აისახა მისი მოთამაშეების წარმომადგენლობაზეც. თუ წინათ ნიუიორკელები ბევრი ჰოკეისტით იყვნენ წარმოდგენილი ნაკრებში და ფაქტიურად მთავარ როლსაც თამაშობდნენ, ამჯერად მათი პოზიციები საკმაოდ მოკრძალებულია. მოხდა უჩვეულო ამბავი — „აილენდერსის" მხოლოდ ორი ჰოკეისტი თამაშობს „კანადა-84"-ის თასზე. ესენი არიან: თავდამსხმელები მაიკ ბოსი, ბობი ბერნი. ბევრი შეიძლება გააკვირვოს იმან, რომ ნაკრებში არ არის ამ გუნდისა და საერთოდ ეროვნული ლიგის უძლიერესი მცველი, სახელგანთქმული დენი პოტვინი, რომელსაც მძიმე ტრავმა არ აძლევს „ყინულის მინდორზე" გამოსვლის საშუალებას. რაც შეეხება „აილენდერსის" კიდევ ერთ მეტად ცნობილ ჰოკეისტს ბრაიენ ტროტიეს, მან ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობა მიიღო და ახლა ამ ქვეყნის ნაკრებში გამოდის თასის გათამაშებაში. თუმცა გვარი ტროტიე ფრანგული წარმოშობისას ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში, როგორც თავად ამტკიცებს, ინდიელია და მისი წინაპრები ხან კანადაში, ხანაც შეერთებულ შტატებში ცხოვრობდნენ. ორი მოთამაშე წარგზავნა ნაკრებში „ვაშინგტონ კეპიტელზმა": მცველი სკოტ სტივენსი და თავდამსხმელი მაიკ გარტნერი. ჰოკეის მოყვარულებს ბევრს ეუბნება ერთ-ერთი უძველესი პროფესიული კლუბის „ჩიკაგო ბლეკ ჰოქსის" სახელი. ეს არის ძლიერი, მდიდარი ტრადიციების გუნდი, რომელიც ამჯერადაც ღირსეულად არის წარმოდგენილი: მცველი დუგ უილსონი, თავდამსხმელები დენი სავარი, ალენ სეკორდი. დანარჩენმა კლუბებმა ნაკრებს თითო-თითო მოთამაშე მისცეს. ვნახოთ, ვინ არიან ისინი: მეკარე რეჯან ლემელინი („კალგარი ფლეიმზი"), დამცველები ლერი რობინსონი, ეს ყველაზე ხანდაზმული მოთამაშეა — 33 წლისა („მონრეალ კენედიენზი"), ჯეიმს პეტრიკი („ნიუ-იორკ რეინჯერსი"). თავდამსხმელები ბრაიენ ბელოუზი („მინესოტა ნორთ სტარსი"), რიკ ვეივი („ტორონტო მეიპლ ლიფზი"). სილვენ ტერჯენი („ჰართფორდ უეილერსი"), მიშელ გულე („კვებეკ ნორდიქსი") და ბრაიენ სატერი („სენტ-ლუის ბლუზი").

ადრე, ვიდრე კანადის პროფესიული ჰოკეი მოყვარულებთან თამაშს „იკადრებდა" და თავისებურ საერთაშორისო თვითიზოლაციაზე იტყოდა უარს, მათ თავიანთი თავი ეგონათ ჰოკეის ერთადერთი კანონმდებელი. და ვიდრე „დანარჩენი" ჰოკეი გამუდმებულ შეჯიბრებაში იყო ჩართული და ევროპის მოწინავე გუნდები იმდიდრებდნენ ერთმანეთთან თამაშით ტექნიკურ-ტაქტიკურ არსენალს, კანადური ჰოკეი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკუთარ ნაჭუჭში იხარშებოდა. ამიტომ კანადელებისათვის თავიდან ძნელი გამოდგა ახალ პირობებში ადაპტაცია. მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს და კანადური ჰოკეი თითქმის შეეგუა იმ უჩვეულო რეჟიმსა და ატმოსფეროს, რომელსაც მას უქმნის ევროპული ჰოკეის გარემო. კანადელებზე ამბობენ, რომ მათ შეიძლება წააგონ თამაში, წააგონ ტურნირი, მაგრამ ნებისმიერი მოწინააღმდეგისათვის მრისხანე ძალად რჩებიან. ბევრი რამ შეიცვალა ჰოკეის სამშობლოში ევროპულ ჰოკეისთან კონტაქტების შემდეგ. ახლა კანადაში, რომელიც მუდამ ითვლებოდა ხანდაზმული მოთამაშეების მექად, სულ უფრო მეტად კეთდება აქცენტი ახალგაზრდებზე. ასეთი გამოთქმაც კი მოიგონეს: „ახალგაზრდა უფრო ფეხმარდიაო". ეს დაემჩნა ამჟამინდელ ნაკრებსაც, რომელიც თავისი შემადგენლობით ყველაზე ახალგაზრდაა.

და მაინც, რამდენიც უნდა ვწეროთ, კანადელთა ნამდვილი ძალა უნდა გამოაჩინოს „კანადა-84-"-ის ტურნირმა, თუმცა ჰოკეის სამშობლოს წარმომადგენლებს სხვა გუნდებთან შედარებით ალბათ უპირატესობა აქვთ — ისინი ხომ შინ თამაშობენ.

• • •

მატჩები, რომლებშიც კანადელი ჰოკეისტები მონაწილეობენ, მუდამ ალსავსეა დაძაბული, დრამატული სიტუაციებით. ამ სურათზე თქვენ სწორედ ერთ-ერთ ასეთ მომენტს ხედავთ.

პროფტექ-განათლების სისტემის საკავშირო სპარტაკიადა

ცხრიდან — რვა

ბაქოს გარეუბანში, საკურორტო ადგილ ზაგულბაში მოჭადრაკეების ფინალური ტურნირი ჩატარდა.

შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზა საქართველოს გოგონათა ნაკრებმა, რომელიც თავიდანვე დაწინაურდა და ფინიშთანაც პირველი მივიდა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სომხეთისა და ლენინგრადის გუნდები. ჩვენს კოლექტივში საუკეთესო იყო ოსტატობის კანდიდატი ნათია წკეპლაძე, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა.

ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრებმა, სამწუხაროდ, სუსტად იასპარეზა და ფინალის საგზური ვერ მოიპოვა. აქ პირველი იყო რუსეთის ფედერაციის ნაკრები, II — მოსკოვისა და III — აზერბაიჯანის კოლექტივები.

◆

ძნელი ნახევარფინალები

ვარშავაში დამთავრდა სტუდენტ მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა მეოთხედფინალში აჯობა ჩეხოსლოვაკიის გუნდს — 3:0, მაგრამ ნახევარფინალში დამარცხდა სამხრეთ კორეის ნაკრებთან — 1:3. ამის შემდეგ სსრ კავშირისა და ბულგარეთის მაგიდის ჩოგბურთელებს შორის გაიმართა მატჩი III ადგილისთვის, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებმა იმარჯვეს — 3:1. პირველობა კი სამხრეთ კორეის ქალთა ნაკრებმა მოიპოვა.

ზუსტად ასე წარიმართა ბრძოლა ვაჟთა ტურნირშიც. საბჭოთა სპორტსმენებმა მეოთხედფინალში მოუგეს იაპონელებს — 5:1, ნახევარფინალში დამარცხდნენ ჩინელებთან — 1:5, III ადგილისთვის ბრძოლაში კი აჯობეს სამხრეთ კორეის ნაკრებს. მსოფლიო ჩემპიონი აქ ჩინეთის გუნდი გახდა.

◆

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 9 სექტემბერი. „სინათლის" სტადიონი. „ავტომობილისტი" (თბილისი) — „შევარდენი" (თბილისი). დასაწყისი 18 საათზე.

რედაქტორი ა. გოგელია.

სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლის დირექცია აცხადებს 1970-1977 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა მიღებას. ბავშვები მიიღებიან ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 10-დან 12 და 15-დან 19 საათამდე „ლოკომოტივის" სტადიონის სათადარიგო მოედანზე.

სკოლის მისამართია: თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი № 74.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
წერილების განყოფილება — 93-97-55.
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 15007